



12621/3-74/21 2 28122021

12621/3-74/21
28-12-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მოგვაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, 2004 წლიდან 2021 წლის ჩათვლით:

1. რამდენ ორსულ ქალს გადაუვადდა სასჯელის მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის საფუძველზე.
2. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა ავადმყოფობის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე (სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში - სრულწლოვანი/არასრულწლოვანი).
3. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა ხანდაზმულობის ასაკის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე.
4. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის უფლებამოსილების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოსთვის გადაცემამდე (2010 წლის 1 ოქტომბერი), რამდენ მსჯავრდებულს (სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში - სრულწლოვანი/არასრულწლოვანი) შეეცვალა სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით:
 - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით
 - თავისუფლების შეზღუდვით
5. 2018 წლის 1 იანვრიდან რამდენ მსჯავრდებულს შეეცვალა უვადო თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით (სქესობრივ ჭრილში).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 24/3942-03-მ
„26“ 04 2022წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ გივი მიქანაძეს

ბატონო გივი,

თქვენი 2021 წლის 28 დეკემბრის N12621/3-74/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წერილში მოთხოვნილ სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ამუშავებს, თუმცა გიგზავნით საერთო სასამართლოების მიერ მოძიებულ და მათგან მოწოდებულ ინფორმაციას:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის საფუძველზე, 5 მსჯავრდებულს გადაუვადდა სასჯელის მოხდა.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო 17 მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ასაკის გამო 1 მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან.
4. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლდა ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით 633 მსჯავრდებულს.
5. უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეეცვალა სხვა სასჯელით 3 მსჯავრდებულს.

პატივისცემით,

ირაკლი გოცირიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-824/22
„26“ 04 2022წ. ფ.რ.ს.